გურანდა იობაშვილი, სალომე ჩაჩიბაია

კოჩის უნივერსიტეტი, თურქეთი

,,2024 წლის 13-17 მაისს, Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში, შესაძლებლობა მოგვეცა მონაწილეობა მიგვეღო კოჩის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულში, სტამბულში.

ღონისძიების ფარგლებში საშუალება გვქონდა შევხვედროდით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 30-ზე მეტ წარმომადგენელს და გაგვეზიარებინა გამოცდილება უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესების, საუკეთესო პრაქტიკებისა და ინოვაციური პროგრამების შესახებ.

ვესტუმრეთ საბანჯის უნივერსიტეტს სტამბულში და მონაწილეობა მივიღეთ საინტერესო ვორკშოპებსა და სემინარებში, რომელთა მთავარი მიზანი განსხვავებული პერსპექტივების გაზიარება და განათლების სფეროს მნიშვნელოვანი გამოწვევების განხილვა იყო.

ღონისძიების ფარგლებში კოჩის უნივერსიტეტში ჩატარდა განათლების საერთაშორისო გამოფენა, სადაც შესაძლებლობა მოგვეცა დაინტერესებული სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის გაგვეცნო კავკასიის უნივერსიტეტის პროგრამები და პრაქტიკული გამოცდილება.

საგანმანათლებლო სესიებისა და დისკუსიებში ჩართვასთან ერთად, შესაძლებლობა მოგვეცა მონაწილეობა მიგვეღო მასპინძელი უნივერსიტეტების კამპუს ტურებსა და ქალაქ სტამბულის ტურში და უკეთ გაგვეცნო თურქეთის კულტურისა და ისტორიის საინტერესო ასპექტები.

საერთაშორისო კვირეული შესანიშნავი შესაძლებლობა იყო ახალი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო პარტნიორობების დამყარებისთვის.''